

*ბიორბი ჩინხალაპი***შრომის მოყვარეობა – „მუშაპოპა“**

(ეთიკური და რელიგიური მნიშვნელობისათვის)

შრომა ადამიანის გარდაუვალი, აუცილებელი საჭიროებაა; ამასთან ზნეობრივი გრძნობაა, რომელიც სიკეთედ, საღვთო, ანუ საყოველთაო მოწოდებად აღიქმება. „ყოველი შრომა, რომელიც კი სარგებლობას მისცემს კაცს და შეეწევა მის რჩენასა, დიახ არის მაღლიანი და საკადრისი“ (გაბრიელ ეპისკოპოსი). ჩვენი „ძველებიც“ (წინაპრები) ყოველგვარ ადამიანის 'დასარჩენ' – საკეთილდღეო საქმიანობას „საღვთო ზნედ“ უხმობდნენ; ყოველი ცოდნა ზნეობააო (არჩილი). მათთვის „ხელისელობა“, „მარჯვენა“ – გამარჯვებული, საღვთო „ნაწილი“, საფიცარი იყო, ხოლო „სინდისიერი ოფლი“, „ალალი“ მარჯვენა თუ ლუკმა ღირსების და სიბრძნის გამოძახატველი. ალალი მარჯვენით მოწეული პურის მაღლს იფიცებოდნენ, ისე როგორც პურისა და ღვინის, ანუ ზიარების მაღლზე. ფიცის გაგებვა კი მირონის გაგებვააო, იცოდნენ. წესად ჰქონდათ ხელ-მხარის დალოცვა და ღმერთს მარჯვენის შერჩენას შეთხოვდნენ. მთაში ამ წესს ხელ-მხარის „განათვლას“ ეძახდნენ. ხელი ხომ უფლება – უფროსობის ნიშანიცაა; საინტერესოა ამასთან ერთი ხალხური გადმოცემაც, რომ თუ მღვდელი (ხუცესი) ან სამეფო გვარეულობის კაცი სულით ავადმყოფს – ზნედიანს ხელს სამჯერ გაარგყამდა, უცილობლად განიკურნებაო. ამ სამრისით იყო, რომ მხენელ-მთესველობა 'რჯულიერება' – „ქართველობად“ აღიქმებოდა. მხენელ-მთესველთა მეთაური, იგივე „გუთნისდედა“ კი უპირველესად ზნეობრივად მისაბაძი პიროვნება იყო, ბრძნული ზომიერების, მოვალეობებისადმი ერთგულების, შემწყნარებლობის თუ გულუხვი სტუმართმოყვარეობის იდეალთა მიმდევარი, სოფლის ერთგვარი მოძღვარი – „მერჯულე“. ამიგომ, გუთნისდედას, როგორც სოფლის წესების, „ავ-კარგის მეცოდინეს“, ეკითხებოდა სოფლისათვის წესისა და სამართლის მიცემა; ხენა-თესვის, თიბვის, მკის თუ რთველის დაწყება-დამთავრების დრო. ის იყო ასევე საპატიო მაყარი თუ თამადა. მოკლედ, სამაგალითო, „დარბაისელი“ პიროვნება იყო, რაც ფოლკლორშიცაა ასახული; „ქალმა თქვა გასათხოვარმა ნუ გამათხოვებ დედაო, თუ მიმცემ, ისეთ კაცს მიმეც, რომ იყვეს გუთნისდედაო“.

დიდ დღესასწაულებზეც, ანუ როგორც იცოდნენ, „ბედნიერ დღეებში“, სახლიდან გასვლისას ცდილობდნენ პირველად გამრჯე, ილათიანი კაცისათვის მოეკრათ თვალი, რომ მისნაირი ყოფილიყვნენ. ასეთ დღეებში ცდილობდნენ საერთოდ მარჯვედ, მხნედ ყოფნას, რადგან უსაქმურობა, სიბარმაყე დიდ სირცხვილად – ცოდვად ითვლებოდა. აკი ამბობდნენ, სირცხვილს (იგივე სინდისის გრძნობას) უჭირავს ქვეყანაო. საცოლეს შერჩევისას გადამწყვეტი მისი საქმიანი ჩვევები იყო და არა გარეგნობა. აუგად

ითვლებოდა „ხეგოლა“ – უსაქმური ქალი, „მამშალი“ – უსუფთაო, უწესრიგო, „ტყვარემა“ – ზედმეტად თამამი. ქალის ხელსაქმობას ვარცლისა და ასტამის სისუფთავით ამოწმებდნენ. ასეთი ქალი თუნდ კოჭლი ყოფილიყო, მაინც არ დაიწუნებოდა. გავიხსენოთ ხალხურიც, ღმერთო, ნუ მისცემ ვაჟკაცსა ცოლსა ყბელსა და მძინარსაო. უკვე ბავშვობიდან, 5-6 წლიდან აჩვევდნენ პატარა საოჯახო საქმეებს, 16 წლის გოგომ კი ყველა საოჯახო საქმე იცოდა, გასათხოვრად მოჯარებული იყო; ხოლო მთაში უკვე 9-10 წლის ბიჭს ცხვარში უშვებდნენ დამხმარედ. ასე რომ, შრომისა და მოყვასის (მამულის) სიყვარულს პირველად ღედა ასწავლიდათ შინ. ყოველგვარ სამინაო, საქალებო საქმეში შემწვობასაც ღედა ღვთისმშობელს, როგორც ხშირად უწოდებდნენ, „ხთიშობელს“ შეთხოვდნენ. მასვე შეთხოვდნენ საქონლის სიმრთელეს თუ მომრავლებას; „ხარის ნახნავისათვის“, ძროხის „ნაწველნადღებებისათვის“ ბარაქის დაგანებას და სხვა.

ღვთისმშობლის ხარების ღღესასწაულზე (25 მარტი ძველი სტილით) რაც არ უნდა უამინდობა ყოფილიყო, აუცილებლად ხარებს გამოიყვანდნენ და ამ ბედნიერ ღღეს პირველ ხნულს გაიტანდნენ. შემდეგ მხენელი აღმოსავლეთის მხარეზე გაჩერდებოდა. ხარებს რქაზე ანთებულ სანთლებს მიაკრავდა, ერთსაც გუთანზე დააკრავდა და ხარ-მოხნავის გამარჯვებისას იგყოფდა, „ღმერთო მაღლი შენდა... შენ დაგვიწერე ჯვარი ხარსა, ხარის ნახნავსა, კაცის მარჯვენასა. პურსაც უღელზე გატეხდნენ. თვითონაც შეექცეოდნენ და ხარებსაც შეაჭმევდნენ. ხარებობის ღღესასწაული სამოგადოდ ხენათესვის დასაწყისად ითვლებოდა. გუთანს კვალი ღონიერად რომ გაეგანა, „გამარჯვებული“ ყოფილიყო, გუთისღედა ასეც იგყოფდა, ქრისტე ღმერთი რო გუთისღედად მეყოლება – გუთანი არ მომეშლებაო; ოროველასაც შემოსძახებდნენ „შენი ჭირიმი გუთანო, ნაკურთხო ქრისტეს ჯვართითა“. ხარსაც, პირველი ხნულის გავლებისას, მარჯვენა ბეჭზე ჯვრის სახით საფუარს წააცხებდნენ. თესვა კი გამლილი ხელით იცოდნენ და ქუდმოხდილი. ბოლოს, ერთ მუჭა მარცვალს ცალკე გადაყრიდნენ, დაილოცებოდნენ – ეს ჭიაჭუასა, ეს ჩიგებსა, ესეც ყველა კეთილსაო. ღმერთო ღიღებულო, შენ უშველე ყველა მართალსაო. შრომა ერთობით (მოდგამით) იცოდნენ; „ხელმრავლობა“ ხომ უფრო ნაყოფიერი, ამასთან სახალისო იყო, ვიდრე „ცალხელობა“ – მარტო კაცი ჭამაშია ბრალიაო, იგყოფდნენ. მუშაობის დროს სიმღერა – სიხალისის ისეთივე მნიშვნელობას და აუცილებლობას აძლევდნენ, როგორც მუშახელის დროულ გამოკვებას. ყოველივე ეს პრაქტიკულად გამართლებული იყო, რამეთუ მუშაობის რითში სიმღერაზე ჰქონდათ აწყობილი, როგორც საკრავის ხმაზე ცეკვაო; რამდენადაც დააჩქარებდნენ სიმღერას, იმდენადაც მუშაობას. საგანგებოდ იყო ხენისას, მკისას თუ თონხისას შესრულებული სიმღერები – ოროველა, ჰოპუნა, ურმული თუ სხვა. მაგალითად, თონხისას, მუშაობის დასაჩქარებლად, თავში ორი მომღერალი დადგებოდა და სიმღერას იწყებდა, რომელსაც ნელ-ნელა აჩქარებდნენ. ამ მოთავეებისათვის მასპინძელი ერთიორად უმატებდა ულუფას, იმისათვის რომ

თონა დააქარეს. ზარმაცების შესარცხვენად, ერთგულ მუშათა გასამხნეველად, ასევე საგანგებოდ იწვევდნენ გამრჯე და ენაშოსწრებულ კაცს, რომელსაც „მესვეურს“ ეძახდნენ. იგი წინ მიუძღოდა ერთობას და ერთგული შრომით და ხუმრობით ახალისებდა მათ. წინამძღოლის, „მესვეურის“ გარდა „მეკუღურიც“ იცოდნენ. ის პირიქით, თიბვის დროს უკან მოჰყვებოდა მუშახელს და ყანის ნაპირებზე მორჩენილს თიბავდა. ასე საყოველთაოდ იყო მიღებული სიხალისე და მხიარულება შრომაში. გურიამიც, რთვლის დროს, აგუნას გადაძახილი სოფლიდან სოფელში გადადიოდა. მკრეფავეები კი „ყბას უქცევდნენ“ – ხმამაღლა ხუმრობდნენ, შაირობდნენ. ყველაზე გამრჯეს კი ღორის თავით ასახუქრებდნენ. რადგან, როგორც აღენიშნეთ, შრომისმოყვარეობა, გარჯა ღვთისმსახურებასთან ჰქონდათ გაიგივებული; ხოლო შრომისათვის თავის არიდება, სიზარმაცე ლამის ბრძოლის ველიდან გამოქცევასთან, „ურჯულოებასთან“. აკი ამბობდნენ, გლეხკაცის საქმეს არ ეღაბებო. ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა. მოყვასის სიყვარულის მცნებიდან გამომდინარე, შრომაში ერთმანეთის „ხელნაცვლით შევლა“, დახმარება საზოგადო წესი იყო. აბა საქრისტიანოში შიმშილით ვინ მომკვდარაო. ნათესავეები თუ ნათელ-მირონები საჭიროებისას ხელს „უნაცვლებდნენ“ ერთმანეთს. სოფელი სოფელს შევლოდა მთა – ბარს. თუ ბარში იყო მოუსავლიანობა მაშინ მთა არ მოცდებოდა და პირიქით. ცნობილია, რომ მთას საკუთარი პურეულის ჯიშები ჰქონდა (მახა, ღიკა, მანღური). ბარს კი თავისი. ამიტომაც იყო, რომ დიდი შიმშილობები საქართველომ არ იცოდაო. ყოველ სოფელს კვირაში ერთი დღე ჰქონდა გამოყოფილი იმისათვის, რომ მეზობელ სოფელში წასულიყვნენ და იქაურთათვის ეშრომათ, ქალები კი ხელსაქმობდნენ და იქაურთათვის კერძებს ამზადებდნენ. ხალხში ამას „საუქმოზე წასვლას“ ეძახდნენ. შეჭირვების ყამს, ბერ-მონაზვნებიც პურით და ღვინით, საკლავითაც ეშველებოდნენ ხალხს. „ხარის“ (სალოცავის) მიწებსაც ერთობით-მუშახელის „შაყრით“ ამუშავებდნენ. მთაში, თავად ხევისბერი დალოცავდა, „დაამწყალობებდა“ ერთობის მუშას – ერთგულად ოფლის დამღვრელთ, „ადრე მომსვლელთ და გვიან წამსვლელთ“. თავად ხევისბერი გაატარებდა პირველ ხნულს, მომკიდა პირველ სამკალს. სოფელი ერთობით ამუშავებდა ასევე მარგოხელა მოხუცების, ანუ „ბებრების“ ყანებს, ქვრივ-ობოლთა მიწებს და ამას ყოველგვარი გამასპინძლების გარეშე აკეთებდნენ. ზოგჯერ ერთ მთავარიან ღამეს შეარჩევდნენ და ერთ ღამეში „მოაკეთებდნენ“ „ბებრის“ ყანებს; დილით მოხუცებულს ყანა მომკილი ხვდებოდაო.

ხატობა-დღეობებში, დიდ უქმეებში ცდილობდნენ ყველანი მარჯვედ, ხალისიანად ყოფნას, რომ სხვა დღეებშიც ამგვარი განწყობა „დაკვებულათ“. ბავშვები დილააღრიან დგებოდნენ, „ნაწილს“, ანუ პურს მიიღებდნენ და ისე გავიდოდნენ გარეთ, თან ამბობდნენ, ჩიგო, ჩიგო დაგძლიეთ, თქვენსავით სიბუქა ვარო რადგან ადრე, განთიად ადგომა სულის ცხონებასთან, ცოდვების დაძლევასთან იყო გაიგივებული, ცისკარზე ამღვარი

ადამიანიც, ხალხის შეხედულებით, ღვთის უფრო მეტ წყალობას იღებდაო; „იხილეთ უკვე, ვითარ აღსდგებიან ხელთ-მოქმედნი შუა დამესა, მხენელნი და ვაჭარნი“ (იოანე ოქროპირი). ვაჟკაცსაც – „კაი ყმას“ დილაადრიან ადგომა მოეთხოვებოდა; „დილ-დილა მალ-მალ ადგომა, გრილსა რკინასა ცმა უნდა“. ამიგომ, სამოგალო ჩვევად ჰქონდათ დილაადრიან ადგომა და გადაიძებისთანავე ღვთისაგან წყალობის გამოთხოვა, ღმერთო დიდო! შენის მოწყალებით ნუ დაგვაგდებ ჩვენო (ალ. ორბელიანი). დღესასწაულები-სათვის დილაუთენია ასუფთავებდნენ ეზო-კარს, გვიდნენ, ფერთხავდნენ, რწყავდნენ; ისე, რომ; დღეობებში სოფელს ნათელი გადასდიოდაო, ისეთი ნათელი მზიან დღეებშიც რომ ვერ ნახავდით. ცხებოდა საუკეთესო პურები, ქაღალა-ნაშუქები. საკლავიც ჰყავდათ მომარაგებული. ხატობა-დღეობებიც ხომ სამოგალოდ შრომითი საქმიანობის „კრიტიკულ“, გარდამტეხ დღეებს აღნიშნავდნენ.

კვირა-უქმების გატეხვა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. მცნების დამრღვევს სოფელი გაემიჯნებოდა, ეზო-კარს „შეუკრავდა“; არც თვითონ მისცემდნენ რაიმეს, არც მისგან ისესხებდნენ. უქმეებში მუშა-საქონელსაც ასვენებდნენ, აპატივებდნენ. ხალხური წარმოდგენით, ხარი თავად ქრისტე ღმერთისაგან იყო დალოცვილი, რომელსაც ადამიანის „შენახვა“ – რჩენა „დააწერა“ რქაზეო. „ჩამობრძანდა ქრისტე ღმერთი, აკოცა ორსავ თვალ-ზედა, წყვილი დაანთო სანთელი, მიაკრა ორსავ რქაზედა“ (რ. ერისთავი). კვირაობით ხარის მუშაობა ამ მცნების გატეხვად აღიქმებოდა, ‘ვინც კვირაობით შეგაბას, ხელმეც შეახმეს მკლავზედა“ (რ. ერისთავი). ხალხური შეხედულებით, ხარი ერთგულების, თავდალების სახე იყო, ფოლკლორში ის უმთავრესად ეკლესიების დაარსებასთან და ღვთისმშვილეთან – წმინდანებთანაა დაკავშირებული; გავიხსენოთ, „კუროი იგი წმიდათავე პირუტყუთაგანი არს“ (სტეფანე მტბევეარი). ამიგომ, როგორც ერთგულ, თავდადებულ „მუშას“ აპატივებდნენ, უალერსებდნენ, ‘ხთისოს“, ანუ საღვთოს ეძახდნენ. ახალ წელს „უკვლევდნენ“. აცხობდნენ საგანგებო ხარულლის გამოსახულებიან პურებს. თვით საქორწინო თუ დასაფლავების ჩვეულებებშიც აღებინებდნენ ხარს მონაწილეობას. ხოლო ხარის შეთქმა, განსაკუთრებით წმ. გიორგის სახელზე, ოჯახისათვის დიდ წყალობად, ქონების „დამგრაღ“ ითვლებოდა, რადგან ხარ-კამეჩიც ოჯახის სიმდიდრის, დოვლათის ერთ-ერთი მსაზღვრელი იყო.

საფლავის ქვებზეც ხშირია გუთნის, პურეულის გამოსახულები შენდობის თხოვნით; იმედი ჰქონდათ, რომ გამრჯე კაცის კეთილი სახელი იმ ქვეყნად გაჰყვებოდათ და „ალაღ“, „გამარჯვებულ“ წინაპრებთან მიიღებდნენ ნაწილს – ცხონებას. გავიხსენოთ, ‘ნაშრომი ნაყოფთა შენთა შჭამო შენ, ნეგარ იყო და კეთილი გეყოს შენ“ (ფსალმ. 127,2). საფლავებზე პურის მარცვლების მობნევაც იცოდნენ, რათა გარდაცვლილს სიმწვანე და ჯეჯილი მოუკლებლად ჰქონებოდა. როგორც სიუხვის, კეთილდღეობის მომგან მოქმედებას, ხვნა-თესვის გამეორება-იმიტირებას საახალწლოდ და ქორწილებშიც ახდენდნენ. ამ მიზნით ქორწილში ზოგჯერ გუთნით 3 კვალს

გაიგანდნენ, ან მიწას წრიულად მოხნავდნენ, ავსულთა “შებოტვისათვის“. პაგარძალი კერიის გარშემო მარცვლეულს მოაბნევედა ბარაქის, სიუხვის ‘დასაბეველად“. ამასვე აკეთებდა ოჯახის უფროსი მამაკაცი ახალი წლის დილას. გუთანსაც, როგორც ბარაქის, სიკეთის გამრავლების საშუალებას, სიწმინდესავით კრძალვით ეპყრობოდნენ. საახალწლოდ დიასახლისი უღელის გამოსახულებიან პურებს აცხობდა. გუთანზეც სანთლებს დაანთებდნენ. ქორწილშიც, პაგარძლის შინ შემოყვანისას სახნისს, ავსულთაგან დაცვის მიზნით, კერიის წინ დებდნენ. მძიმე მშობიარობისას კი ქმარი სახნისს სამჯერ დაშლიდა და ააწყოდა, მოლოგინების გასაიოლებლად. მჭედლებიც გრდემლზე, როგორც ბარაქის მომცემ ნივთზე, ყოველ შაბათ საღამოს სანთლებს დაანთებდნენ, რიდით ეპყრობოდნენ, გრდემლზე არ ჩამოჯდებოდნენ. ახალ წელს და აღდგომის წინ, დიდ ხუთშაბათს კი დილაადრიან, ხმისამოუღებლად გრდემლზე ჩაქუჩს სამჯერ დაარტყამდნენ, რათა მთელი წელი „გამარჯვებული“ ყოფილიყვნენ. ნათლისღებას, თბილისელი ხელოსნები მტკვარზე წყლის კურთხევის შემდეგ, თავიანთ შრომის იარაღებს მდინარის ნაკურთხ წყალში ამოაველებდნენ და ასე შემდეგ.

ეს მცირე ეთნოგრაფიული მიმოხილვაც ცხადყოფს, რომ შრომისმოყვარეობა ხალხური შეხედულებით, ღვთისა და მოყვასისადმი მსახურების, ანუ „რჯულის“ ნაწილია. ამ მიზანდასახულებით მიმართავდა საზოგადო აზრს ეკლესია, აძლიერებდა რა ამ წარმოდგენებს ეროვნული თვითშემეცნების ღონემდე. ამიგომაც იყო მხენელ-მთესველობა, ანუ მიწის მუშაკობა „რჯულიერებად“ და „ქართველობად“ აღქმული. გავისხენოთ, რომ „მუშაკი“, „მოქმედი“ ქვეყნიერებაზე სათნოებების, სიკეთის გამაგრცელებელი ღვთის რჩეულების – წმინდანების ეპითეგებია და პირველი „მთესველი“, „მუშაკი“ და „მევენახე“ ხომ თავად ქრისტე მაცხოვრის ალეგორიებია ღვთის სიგყვამი. ამ აზრით იყო ერთგული შრომა, ‘პატიოსანი ოფლი“ საბრძოლო თავდადებასთან და ღვთისმსახურებასთან გაიგივებული, ‘პატიოსანი მარჯვენა“ კი საფიცარი; ხოლო სიზარმაცე, შრომისათვის თავის არიდება მცნების გატეხვასთან – ურჯულოებასთან და დიდ სირცხვილთან გათანაბრებული. მშრომელი, გამრჯე აღამიანი ხალხისათვის უპირველესად მორალური სიბრძნის მაგალითი – „მერჯულე“ იყო. ასეთი რელიგიურ-ზნეობრივი მიზანი განაპირობებდა შრომითი საქმიანობის მისადაგებას ეკლესიის „დროზე“ – კალენდარზე, რომელიც ბუნების დროთა ცვალებადობასაც სრულებით მოიცავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. კეცხოველი. არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია. თბ. 1974.
2. ნ. ჯადოგნიშვილი. ფოლკლორი რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში. თბ. 1978.
3. ბ. ნანობაშვილი. კახეთის საოჯახო მეურნეობა, რეფორმის შემდგომ პერიოდში (XIX საუკ. II ნახევარი, XX საუკ. I მეოთხედი) თბ. 1996.
4. ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღესასწაულები (ხევისურეთი). თბ. 1998.
5. გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, თბ. 1987.

Чинчаладзе Георгий

Трудолюбие - О нравственном и религиозном назначений

Резюме

Труд естественное призвание человека, поэтому оно воспринимается как добро, достоинство, божественное призвание. Трудолюбивый человек часто является как-бы деревенским наставником, предводителем; Он является объектом подражания! Церковный обычай усиливает нравственные устои, придает им национальный характер и окраску, доведенный до уровня самосознания.

Поэтому безделье, бездействие воспринимаются как зло, как оскорбление личности. Также и ритм трудовой деятельности подчиняется церковному календарю.